



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

# ინფორმაცი

მაისი/2026

საუკუნოვანი  
ემოთაქა-  
ღვინის  
უნიკალური  
კოლექცია

2



4

საქართველოს  
ტყეები

7

სსიპ ჰირთვლი  
და რაღონციხელი  
უსაფრთხოების  
სამსახელო 10 დღით  
იყვანს მოსახლეობასა და  
გარემოს რაღონციხელი  
რისკებისგან



საქართველოს  
მედიკამენტთა  
სამსახელო

8

მედიკამენტი -  
მედიკამენტოზი

რატა-ღვინის  
გაფრქველად  
ჯაზის ჯიშები

3



„ბანათლია  
მედიკამენტოზი“  
- სწავლითა,  
როგორ  
მედიკამენტი  
აქვით

5



გარემო ავტომობილი!

6



9

ბეჭების ბრძოლა



10

ბიომრავალფეროვნება  
გადაცნობით საქართველოს ფაუნის  
ითხ წარმომადგენელს




გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო



სსიპ ღვინის  
ეროვნული სააგენტო

# საუკუნოვანი ენოთეკა- ღვინის უნიკალური კოლექცია

ქ. თბილისში,  
გეგრიანთა ქ. N 1-ში  
მდებარე „ღვინის ქარხანა  
N 1“-ის ტერიტორიაზე  
არსებული „ღვინის  
ენოთეკა“ სსიპ ღვინის  
ეროვნული სააგენტოს  
სარგებლობის უფლებით,  
უსახიფლოდ გადაცემა.



მელიქიძის ქუჩაზე მდებარე, „საუფლისწულო უწყების“ ღვინის სარდაფი, იგივე ღვინის ქარხანა N1, XIX საუკუნის მიწურულის (1894-1896) ეროვნული სტილის არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს, რომლის მშენებლობაც ცნობილია საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა, დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა.

შენობა საინტერესოა არა მხოლოდ როგორც არქიტექტურული და ინდუსტრიული ძეგლი, არამედ განსაკუთრებულია იქ არსებული უნიკალური ღვინის საცავის გამო, რომელიც საუკუნოვან ისტორიას ინახავს და ქართული მეღვინეობის ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს.

ისტორიულ შენობაში განთავსებულია 2 საძველე, სადაც ხდებოდა ღვინის დაძველება. დღემდე ამ საძველეებში ინახება ორ საუკუნეზე მეტი ხნის დაძველებით, დაახლოებით 20 000 საკოლექციო ბოთლი.

რატომ არის მნიშვნელოვანი კოლექციის შესწავლა:

საუკუნოვანი ენოთეკა წარმოადგენს ერთგვარ „თხევად არქივს“ რომელიც საინტერესოა, როგორც მეღვინეობის სფეროს, ისე ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

აღნიშნულ ენოთეკაში შესაძლებელია დაცული იყოს ქართული ღვინის წარმოების ის ნიმუშები, რომელთა შესახებ ქართული ღვინის მათიანე მოგვიტოხრობს.

ისტორიული წყაროების თანახმად ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის კახეთის საუფლისწულო მამულეებში უკვე შექმნილი იყო ევროპული წესით დაყენებული ქართული სუფრის ღვინოების ყველა მარკა და იმდროინდელი პრესის მიხედვით პარიზის მსოფლიო გამოფენაზე არაერთი ქართველი მეღვინის ღვინო იყო წარმოდგენილი, მუხრან-ბატონის მიერ დამზადებულმა ქართულმა შამპანურმა კი 1886 წელს პარიზის გამოფენაზე „გრან-პრი“ დაიმსახურა. საერთაშორისო გამოფენებზე წარდგენილი ქართული პრემიალური სასმელების ყველა ჯილდო, მედალი თუ სამეფო სიმბოლიკა საპატიო ადგილს იკავებდა გამარჯვებული სასმლის ეტიკეტზე.

ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აქტიურად მიმდინარეობდა ტექნიკური გადაიარაღება, გამოიყენებოდა ფრანგული, გერმანული დანადგარები, რამაც ქართული ღვინის წარმოება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არსებობს ისტორიული ცნობები იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ენოთეკაში ინახება არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური საკოლექციო პრემიალური ღვინოები, ასევე სასმელები ნაპოლეონ ბონაპარტისა და სხვა ცნობილი მოღვაწეების პირადი კოლექციიდან.

ასევე ცნობილია, რომ აღნიშნულ საცავში ინახებოდა სტალინის პირადი სასმელების უნიკალური კოლექცია, რომელიც მას 70 წლის იუბილეზე აჩუქეს.

ინფორმაციის წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო

# რატა-ღაეჩხუმში გავრცელებული ჯაზის ჯიშები



## ალექსანდროული

სინონიმები: კაბისტონი, კაბისტონა

აღვიღობრივი წითელაყურძნიანი ჯაზის ჯიშია, მიეკუთვნება რატის ჯაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად გავრცელებულია რატის მევენახეობის ზონაში, ასევე მცირედ არის გავრცელებული კახეთისა და ღაეჩხუმის მევენახეობის ზონებში. აღექვსანდროული მაღალი ხარისხის საღვინე ჯაზის ჯიშია. იგი გამოიყენება ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და ასევე მშრალი ღვინოების დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ აღექვსანდროულიდან (მთაყურეთუღთან ერთად) მზადდება ღვინოები ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: „ხანჭკარა“ და „რატა“.



## მუხრეთული

აღვიღობრივი წითელაყურძნიანი ჯაზის ჯიშია, მიეკუთვნება რატა-ღაეჩხუმის ჯაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად გავრცელებულია რატის მევენახეობის ზონაში, ხოლო მცირედ არის გავრცელებული ღაეჩხუმისა და კახეთის მევენახეობის ზონებში და სხვა. მთაყურეთული მაღალი ხარისხის საღვინე ჯაზის ჯიშია. გამოიყენება მშრალი და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ მთაყურეთულიდან (აღექვსანდროულიდან ერთად) მზადდება ღვინოები ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: „ხანჭკარა“ და „რატა“.



## კაბისტონი შავი

სინონიმები: კაბისტონი, ძველი შავი კაბისტონი, რკვალი კაბისტონი

აღვიღობრივი წითელაყურძნიანი ჯაზის ჯიშია, მიეკუთვნება რატა-ღაეჩხუმის ჯაზის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული რატის მევენახეობის ზონაში. კაბისტონი შავი საღვინე მიმართულების ჯაზის ჯიშია. ღვინო ხასიათდება ღამაში წითელი ან მუქი ღარდისფერი შეფერილობით, კარგად გამოსახული ჯიშური არმატით, სხეულითა და ჰარმონიული გემოთი.



## წულუპიძის თეთრა

სინონიმები: რატული თეთრა, კაბისტონი

აღვიღობრივი თეთრაყურძნიანი ჯაზის ჯიშია, მიეკუთვნება რატის ჯაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად გავრცელებულია რატის მევენახეობის ზონაში. წულუპიძის თეთრა მაღალი ხარისხის საღვინე მიმართულების ჯაზის ჯიშია. ღვინო ხასიათდება ღია ყვითელი შეფერილობით, კარგად გამოსახული არმატით, სმუთალო სხეულით და ნაზი, სასიამოვნო გემოთი.



ივოდა,  
რატოა  
არის

# საქართველოს ტყე უნიკალური

## საქართველოს ტყეები

საქართველოს ტყეები არის კვანძისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის 44,5%-ს (3 096 700 ჰა) მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობა აქვს.

ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოსისტემური სერვისებით უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ივოდა, რატომ არის საქართველოს ტყე უნიკალური რუბრიკის ფარგლებში, ამჯერად გაგაცნობთ საქართველოს ტყის დამხმარე, ანუ ჰაბიტატის სერვისებს

ტყე უნიკალური ეკოსისტემაა, რომელიც ცხოველებისა და ფრინველებისთვის ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს ქმნის. მრავალფეროვანი სტრუქტურა ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, ტყეში მოხინაღრე ცოცხალი ორგანიზმები კი ქმნიან ურღვევ კვებით ჯაჭვს. ტყის ძველი, ფულუროიანი ხეები მნიშვნელოვანი საცხოვრებელი გარემოა ბუებისა და კოდალებისთვის ასევე, ციყვებისა და ღამურებისთვის. ტყის თითოეულ ბინადარს თავისი როლი აქვს ეკოსისტემაში და ერთის გაქრობა მთელ ბუნებრივ წონასწორობას არღვევს. მცენარეობა ცხოველები, როგორცაა შველი და ირემი, იკვებებიან ტყის მცენარეულობით, ხოლო მათზე ნადირობენ ისეთი მტაცებლები, როგორებიც არიან მგლები, ტურები და მელიები. ტყეების გაქრობის შემთხვევაში, ცხოველები დაკარგავენ საცხოვრებელს, კვებისა და გამრავლებისთვის საჭირო პირობებს, რაც მათ გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენებს. ტყეები ფრინველებისა და ცხოველების სამიგრაციო გზა და თავდაცვის საშუალებაა. ტყის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების დასაცავად. მისი მდგრადი მართვა და დაცვა უზრუნველყოფს როგორც ცხოველთა და ფრინველთა პოპულაციების შენარჩუნებას, ისე ეკოსისტემის მთლიანობას და ბუნებრივ ბალანსს.

ინფორმაციის წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო

# „განათლება მწვანე მომავლისთვის“ - ცნობიერება, როგორც მომავალს უზენაეს



თანამედროვე სამყაროში გარემოსდაცვითი გამოწვევები სულ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება. კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების საკითხები, ნარჩენების მართვა, პლასტიკის მოხმარება, წყლისა და ჰაერის დაბინძურება საკმაოდ დიდ ყურადღებას ითხოვს საზოგადოების მხრიდან. ამ პროცესებთან გამკლავება მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე ვერ იქნება დამოკიდებული. გადამწყვეტი როლი ეკისრება საზოგადოების ცნობიერებას, თუ როგორ აღვიქვამთ გარემოს, რა ღირებულებებს ვუზიარებთ ერთმანეთს და როგორ ვზრდით მომავალ თაობას. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელებული საინფორმაციო-შემეცნებითი ვიზიტები სკოლებში, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას ახალგაზრდებში.

პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მისი გეოგრაფიული მასშტაბია, ვიზიტები ხორციელდება ქვეყნის ყველა რეგიონში, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი არაფორმალური განათლების მასშტაბურობას.

პროგრამა „განათლება მწვანე მომავლისთვის“ სოფლებიდან დაწყებული, მცირე მუნიციპალიტეტებით გაგრძელებული და ქალაქის სკოლებით დამთავრებული, ქმნის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს თანამედროვე და პრაქტიკაზე ორიენტირებული ცოდნა გარემოს დაცვის შესახებ.

საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული ვიზიტები არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ლექციებით. პროცესში აქტიურად გამოიყენება ინტერაქციული მეთოდები, დისკუსიები, პრაქტიკული აქტივობები, თამაშები და რეალური მაგალითების განხილვა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ კრიტიკული აზროვნების განვითარებას და გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ემოციური კავშირის გაძლიერებას. მოსწავლეები აღარ არიან პასიური მსმენელები, ისინი ხდებიან პროცესის თანამონაწილეები.

პედაგოგების ჩართულობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც პროგრამის ეფექტიანობას ზრდის. მასწავლებლები აქტიურად ერთვებიან შეხვედრებში, იღებენ დამატებით რესურსებს და ხშირად თავადაც აგრძელებენ თემის განვითარებას სასწავლო პროცესში. შედეგად, ერთჯერადი ვიზიტი ხშირად იქცევა გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროცესის დასაწყისად.

აღსანიშნავია მაღალი ინტერესი და მოტივაცია თავად მოსწავლეების მხრიდანაც. მათი აქტიური მონაწილეობა, კითხვები, ინიციატივები და სურვილი, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა, ნათლად აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები მათთვის არა მხოლოდ თეორიული თემაა, არამედ პირადი პასუხისმგებლობის ნაწილადაც იქცევა. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, როცა ცოდნა გარდაიქმნება ქცევად.

პოზიტიური გავლენა, რომელსაც აღნიშნული ვიზიტები ახდენს, სცილდება მხოლოდ განათლების სფეროს. ისინი ხელს უწყობს ისეთი თაობის ჩამოყალიბებას, რომელიც უკეთ აცნობიერებს საკუთარ როლს გარემოს დაცვის პროცესში, იღებს პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს და მზად არის, აქტიურად ჩაერთოს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

საბოლოოდ, გარემოსდაცვითი განათლება არ არის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, ეს არის ღირებულებების ფორმირება. და როცა ეს პროცესი იწყება სკოლიდან, თანაც ქვეყნის მასშტაბით, მას აქვს პოტენციალი, რეალურად შეცვალოს მომავალი.



# გამართა ავტომობილი! დაიცავი გარემო!



სატრანსპორტო სექტორიდან დაბინძურების შემცირების მიზნით, გამონაბოლქვის კონტროლი უკვე სამი წელია საქართველოს 4 ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში - ყოველდღიურად მიმდინარეობს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში, გზებზე მოძრავი მანქანების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს 2023 წლის სექტემბრიდან ახორციელებენ. გამონაბოლქვის შემადგენლობის შემოწმება ხდება სპეციალური ხელსაწყოებით, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმისა და წესის შესაბამისად.

გზაზე შემოწმებას ექვემდებარება საქართველოს ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ის მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც აღენიშნება ვიზუალური გამონაბოლქვი. მოწმდება როგორც ბენზინისა და დიზელის ძრავის მქონე, ასევე აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ჩატარებული შემოწმების

შედეგები აისახება სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში.

ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ მიმართულებით დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი. ბოლო პერიოდში, გაიზარდა ეკიპაჟების რაოდენობა. ეკიპაჟები აღჭურვილია შესაბამისი გამზომი ხელსაწყოებით. დეპარტამენტის თანამშრომლებს უკვე უფრო მეტ ლოკაციაზე, მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმების შესაძლებლობა აქვთ. შედეგად, კონტროლი გახდა უფრო მასშტაბური და ეფექტიანი. დაფიქსირდა ფაქტების გამოვლენის გაზრდილი მაჩვენებელი - 2025 წელს, დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2024 წელთან შედარებით გაცილებით მეტი მანქანის შემოწმება შეძლეს და შესაბამისად, მეტი დარღვევა გამოავლინეს.

**გამონაბოლქვის დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობის მიზეზი, უმეტესად ავტომობილში გამონაბოლქვის სისტემის გაუმართაობაა. შესაბამისად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, გამართონ ავტოსატრანსპორტო საშუალება და დაიცვან გარემო. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ჯარიმის გადახდა მოუწევთ.**



# სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო 10 წელია იყავს მოსახლეობასა და გარემოს რადიაციული რისკებისგან



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყება - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო წარმოადგენს თანამედროვე, ინტეგრირებულ და მუდმივად განვითარებად სისტემას, რომელიც ეფუძნება ცოდნას, ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

სააგენტო ეტაპობრივად ჩამოყალიბდა მარეგულირებელ ორგანოდ, რომლის მთავარი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოსა და ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა.

ამ პროცესში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) მხარდაჭერა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რამაც საქართველოს მისცა შესაძლებლობა, საკუთარი სისტემა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოეყვანა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინსპექტირებისა და კონტროლის მექანიზმები, გაციფრულდა ავტორიზაციის სისტემა და გაიზარდა შემონიშნების რაოდენობა და მასშტაბი. პაციენტებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სააგენტო 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს შესაბამის შემთხვევებზე ოპერატიულ რეაგირებას.

მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეულია რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მიმართულებითაც - გაუმჯობესდა

ინფორმაციის წყარო: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ინფრასტრუქტურა, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები და დამკვიდრდა უსაფრთხო მართვის საერთაშორისო სტანდარტები.

სააგენტოს საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვემო სვანეთში მიმდინარე მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც დარიშხანის შემცველი ნარჩენების უსაფრთხო მართვას უკავშირდება. პროექტის დასრულება 2026 წლის ბოლომდე იგეგმება. მიმდინარე სამუშაოები მოიცავს თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობას, მათ შორის სპეციალური სარკოფაგის სისტემის შექმნას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისა და ეკოსისტემის დაცვას უზრუნველყოფს.

10-წლიანი გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემა მხოლოდ ძლიერი ინსტიტუციების, პროფესიონალი გუნდისა და საერთაშორისო პარტნიორობის ერთობლივი ძალისხმევით იქმნება.

სააგენტო მომავალშიც გააგრძელებს ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას, თანამედროვე სტანდარტების დანერგვასა და საზოგადოების დაცვისთვის საჭირო მექანიზმების განვითარებას.



# მეტი წყალი - მეტი მოსავალი

როგორ ზრდის  
მელიორაცია  
აგრარულ შედეგებს



სოფლის მეურნეობაში წარმატებას ერთი მთავარი ფაქტორი განსაზღვრავს - წყალი. სწორედ წყლის ხელმისაწვდომობა ქმნის უხვი და ხარისხიანი მოსავლის საფუძველს. როდესაც სარწყავი რესურსი სწორად და რაციონალურად გამოიყენება, იზრდება მოსავლიანობა და უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. სამელიორაციო სისტემის განვითარება პირდაპირ განსაზღვრავს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიწები.

სარწყავი ინფრასტრუქტურის მონესრიგება ფერმერებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კულტურა საჭირო დროსა და საჭირო რაოდენობით მოიწყონ. პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ მელიორირებული მიწების შემთხვევაში მოსავლიანობა 20-30 %-ით იზრდება, ზოგიერთ კულტურაში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. ამასთან, გაუმჯობესებული დრენაჟი მიწას ჭარბი ტენიანობისგან იცავს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალწლოვანი კულტურებისთვის.

საირიგაციო ინფრასტრუქტურის მონესრიგება, მათ შორის არხების განმენდა და რეაბილიტაცია, წყლის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს. მიმდინარე თუ დაგეგმილი სამელიორაციო პროექტები, ასევე, დიდ გავლენას ახდენს ფერმერების ეკონომიკურ მდგომარეობაზე - გაზრდილი მოსავალი მეტ შემოსავალს ნიშნავს, განვითარებული მელიორაცია კი უფრო ძლიერ სოფლის მეურნეობას, კონკურენტუნარიან წარმოებასა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას.





## ბეჟობის არწივი შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“

იგი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და ამავე დროს მონყვლადი ფრინველია.

### ბეჟობის არწივი (Aquila heliaca)



ამ სახეობის დაცვა პირდაპირ კავშირშია დაცული ტერიტორიების განვითარებასთან. ბეჟობის არწივი ერთ-ერთია იმ მნიშვნელოვან სახეობებს შორის, რომელთა დაცვის მიზნით, 2022 წელს შეიქმნა ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

ბეჟობის არწივი გამოირჩევა შთამბეჭდავი ზომებით - მისი სხეულის სიგრძე დაახლოებით 80 სმ-ია, ხოლო ფრთების შლილი 2 მეტრს აღწევს. მისი ხმა მკაცრ, განმეორებად ყეფას ჰგავს. საქართველოში იგი ძირითადად მთისძირა ლანდშაფტებში, ბორცვებსა და ჭალებში ბინადრობს, სადაც საკვების მნიშვნელოვან წყაროს წვრილი ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები და მცირე ზომის ფრინველები წარმოადგენს.

დღეს ბეჟობის არწივზე დაკვირვება შესაძლებელია საქართველოს რამდენიმე დაცულ ტერიტორიაზე, მათ შორის ჭაჭუნას აღკვეთილში, სადაც სპეციალური სამეთვალყურეო პუნქტიცაა მოწყობილი. მსგავსი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს, როგორც ეკოტურიზმის განვითარებას, ისე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ამ უნიკალური სახეობის დაცვის მნიშვნელობაზე.

რვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა ნარეოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დაუახსნიათვარი სხვაობები. გაგაცნოთ საქართველოს ფაუნის 4 ნარეოდგენილი



# პირობადგენი



## პორფირიონი, სომეხის ქათამი (PORPHYRIO PORPHYRIO)


ლიანსებრთა ოჯახის ფრინველი. გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიასა და დასავლეთ პოლინეზიაში, აღმოსავლეთ დაღესტანსა და აზერბაიჯანში, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქმენეთში. წინათ საქართველოში გვხვდებოდა ჯანდარისა და კუმისის ტბებზე. პორფირიონი ბინადრობს ზღვებისა და მტკნარი წყალსატევების პირას, ხშირ ლერწამ-ლელქაშში, ბუდეს იკეთებს მიწაზე. მისი სხეულის სიგრძე 45 სმ-ს აღწევს. ცხოვრობენ წყვილებად, აპრილში დედალი დებს 5-7 (ჩვეულებრივ 3-5) კვერცხს, კრუსობს ორივე მშობელი 22-25 დღე-ღამეს. იკვებება მცენარეული საკვებით, უმნიშვნელო რაოდენობით მწერებით. იშვიათად ჭამს ბაყაყს. შეტანილია „წითელ წიგნში“.



## კარჩხანა

კარჩხანას შეუძლია „მამრის გარეშე“ გამრავლება. ზოგიერთ წყალსატევში კარჩხანას პოპულაცია თითქმის მთლიანად მდებარეობს შედგება. ძალიან გამძლე და ადაპტირებადი სახეობაა. კარჩხანა უძლებს დაბალ უანგბადს, დაბინძურებულ წყალს, მცენარეულობით მდიდარ და ნელმდინარ გარემოს. სწორედ ამ გამძლეობის გამო მას შეუძლია სწრაფად გავრცელებული იყოს წყალსატევებშიც, სადაც სხვა თევზებისთვის პირობები რთულია. კარჩხანა ხშირად პრობლემურ, ინვაზიურ სახეობად იქცევა. ფართო გამრავლების უნარისა და მაღალი ეკოლოგიური ამტანობის გამო, კარჩხანამ ბევრ წყალსატევში შეიძლება ადგილობრივი სახეობები კონკურენციით შეავიწროვოს - განსაკუთრებით საკვების, საბინადრო ადგილებისა და ქვირითობის სივრცის მიმართულებით.

## თვალშავი ან ქაქოროი



თვალშავი, ჩვეულებრივი თვალშავი ან ქაქოროი (Falco vespertinus) - მტაცებელი ფრინველი შავრდნისნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძე 30 სმ-ს აღწევს. მამალი ლეგა - შავია, წითელფეხებიანი; დედალს წითური მუცელი და ლეგა ზურგი აქვს, განივი მუქი ზოლებით. თვალშავი გავრცელებულია ევროპასა და აზიაში, ციმ-

ბირში მდინარე ლენამდე, ზამთრობს სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მიმოდრენისას, გაზაფხულზე (აპრილში) და შემოდგომაზე (აგვისტო-სექტემბერში). ბუდობს ხეებზე სხვა ფრინველების ბუდეში. იკვებება მწერებითა და წვრილი მღრღნელებით, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს. უწინ თვალშავი ეწოდებოდა ფრინველთა გვარს, რომელშიც ორი სახეობა იყო გაერთიანებული: თვალშავი (ლათ. Erythropus vespertinus) და ამურის თვალშავი (ლათ. Erythropus amurensis), რომელიც გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

## ბარი, ბავაზი (FALCO CHERRUG)



მტაცებელი ფრინველი შავრდნისნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძე 60 სმ-მდეა, ფრთების შლილი 130 სმ-მდე. დედალი მამალზე დიდია. ბუმბული ზურგზე მორუხო-მურაა, მუცელზე თეთრი, მურა ან შავლაქებიანი. ბარი ბუდობს ველისა და ტყე-ველის ზონაში, მთაში. გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. იბამთრებს თავისი გავრცელების არეალის სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე ინდოეთსა და აფრიკაში. ბუდეს იკეთებს კლდეზე, ზოგჯერ ხეზე და სხვის ბუდეშიც იბუდებს. დებს 3-6 კვერცხს. ბარი მსხვერპლს იჭერს ფრენისას, შეუძლია აიტაცოს მინიდანაც. იკვებება პატარა და საშუალო ზომის ფრინველებით, თრეებით, მემინდვრებითა და სხვა მღრღნელებით, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს. ბარს წრთვნიან ფრინველებზე, კურდღლებსა და ქურციკებზე სანადიროდ. საქართველოში გვხვდება ზამთრობით.